მსოფლიო თეატრის სწავლების გზები თანამედროვე მოცემულობის გათვალისწინებით

მარიკა მამაცაშვილი

საკვანძო სიტყვები: *თეატრის ისტორია, ტექნიკური პროგრესი, სწავლების მეთოლოგია, კინემატოგრაფია, ინტერქტივი*

ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ მოულოდნელობებით, ტექნიკური პროგრესის ელვისებური ზრდით გამოირჩევა. აჩქარებული დრო აბსოლუტურად განსხვავებული მოცემულობის წინაშე გვაყენებს. თაობებს შორის დისტანციაც ღრმავდება. ამას ემატება სასკოლო განათლების, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტურობა. ამიტომაც, თეატრის ისტორიის სწავლებისას, პედაგოგები დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებით.

თეატრის ისტორიის დადგენილი პერიოდიზაციის მიხედვით, სწავლება, ვფიქრობ, მოძველდა. აუცილებელია სწავლების მეთოდის გადახედვა. ბევრჯერ წავაწყდი წინააღმდეგობას პირველკურსელებთან. მათ არ ესმით და ვერ უღრმავდებიან ანტიკური ხანის თეატრს, ისინი ხშირად მთხოვენ ვესაუბრო დღევანდელ თეატრზე.

თეატრი თვითონ მუდმივად აახლებს საკუთარ გამომსახველობით ფორმებს. მაგრამ ამას დაგროვილი გამოცდილების და ცოდნის საფუძველზე ახერხებს. ამიტომაც გამიჩნდა მოსაზრება - გავითვალისწინოთ კურსის უმრავლესობის მზაობა ამა თუ იმ საკითხის გაგებისათვის და ისე წარვმართოთ მეცადინეობები. აუცილებელი არ არის დავიწყოთ ანტიკურობიდან. შეგვიძლია ვისაუბროთ შექსპირზე, ან მოლიერზე, ეს დრამატურგები უფრო გასაგებია დღევანდელი თაობისთვის, უფრო ახლოა მათ მენტალობასთან. მათ ეცინებათ როცა ბედისწერის ჩარევის აუცილებლობაზე ვესაუბრებით, ან როგორ გაიგებენ ანტიგონეს გადაწყვეტილებას ბოლომდე, როცა არ იციან რა არის „არჩევანი", როგორ გავლენას ახდენს ის მოვლენებზე და, კერძოდ, ადამიანზე!

ჩვენი ამოცანაა, სტუდენტმა შეძლოს სხვადასხვა ღონისძიებაში, ვიქტორინებში, დებატებში მონაწილეობისას გამოავლინოს თეატრის ისტორიის ცოდნა, დრამატურგიის გაანალიზების, ქვეტექსტების ამოხსნის, მიღებული ინფორმაციის თანამედროვეობასთან მისადაგების და ანალიტიკური აზროვნების უნარი. ამის მისაღწევად, აუცილებელია, სწავლებისას გავზარდოთ სტუდენტების ჩართულობა ლექციებზე. ერთ-ერთი აპრობირებული საშუალება, სტუდენტების დაინტერესებისა, არის თეატრზე ფილმების ჩვენება და შემდგომ დისკუსია, თუ როგორ დაინახა კინო რეჟისორმა ესა თუ ის ფაქტი და როგორია ის სინამდვილეში. ასეთი ფილმების სია გრძელია და ამიტომ შეგვიძლია სამ საათიანი ლექციისას მესამე საათი დავუთმოთ ჩვენებებს.

1975 წელს გადაღებული ტეო ანგელოპულოსის ფილმი „კომედიანტები" 4 საათის განმავლობაში გვამოგზაურებს ისტორიაში. თეატრალური დასი ლაშქრავს ქვეყანას, რომელიც ხან სამოქალაქო ომშია გახვეული, ხანაც სამხედრო დიქტატურის ქვეშ ცხოვრობს, ხან კი ფაშისტების ოკუპაციას განიცდის. ისტორიული მოვლენების განვითარების ფონზე, გმირების პირადი ამბავიც იშლება; გმირების, რომლებსაც ანტიკური „ორესტეადან" აქვთ აღებული სახელები და მათ ბედსაც იმეორებენ, მაგ: აგამემნონი პარტიზანი ხდება და ებრძვის იტალიურ ფაშიზმს, ორესტე - კომუნისტი და ასე შემდეგ. ფილმი იძლევა საშუალებას სტუდენტების ფანტაზია გააღრმავოს და მრავალწახნაგოვანი აზროვნების საშუალება მისცეს. რაც მთავარია, პიესა „ორესტეა" დაინახონ თანამედროვეობის ჭრილში[1].

1 Nelsen,Theatre History for Advanced Theatre

შუა საუკუნეების თეატრის ისტორიის სწავლებისას, ვფიქრობ, გვერდს ვერ ავუვლით XX საუკუნის თეატრისა და კინოს გენიალური რეჟისორის, ინგმარ ბერგმანის 1957 წელს გადაღებულ ფილმს: „მეშვიდე ბეჭედი". ფილმში ნაჩვენებია მოხეტიალე დასის ცხოვრება. ეს არის იგავი შუასაუკუნეების სიუჟეტზე.

ლოპე დე ვეგას სხარტი, ზედმიწევნით დინამიკური და აზრის ფეირვერკული გადმოცემით სავსე კომედიებით დაინტერესებას გამოიწვევს 2010 წელს გადაღებული ფილმი - „ლოპე დე ვეგა: ლიბერტინი და მაცდური".

XVII საუკუნის მთავარ კომედიოგრაფზე, მოლიერზე, საუბრისას და მისი შემოქმედების სხვა რაკურსით დანახვისთვის ლორან ტირარის 2007 წელს გადაღებული ფილმი - „მოლიერი" გამოგვადგება.

ასევე ძალიან საინტერესოა ფრანგული კლასიცისზმისა და, შემდგომ, ბაროკოს ეპოქის თეატრის გაგებისათვის 2000 წელს ჟერარ კორბოს გადაღებული ფილმი -„მეფე ცეკვავს".

რიჩარდ ეირის 2004 წელს გადაღებული ფილმი – „სილამაზე ინგლისურად" ბრიტანული თეატრის ისტორიის იმ პერიოდზე მოგვითხრობს, როცა ქალების როლებს მამაკაცები ანსახიერებდნენ. აქვე ვეცნობით ბრიტანეთის მეფის - კარლ II-ის თეატრალურ რეფორმას.

როგორც მოგახსენეთ, ფილმების სია მეტად გრძელია და ნებისმიერი ლექტორი, ნებისმიერ ეპოქაზე, თუ დრამატურგზე შეძლებს ფილმის გამოყენებას საკუთარი სურვილისამებრ.

პედაგოგებს გვაქვს საშუალება შევცვალოთ სილაბუსის თანმიმდევრობა სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებითაც. აქ მინდა მოგიყვანოთ მაგალითი, თუ როგორ მოვიქეცი დრამის რეჟისურის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებთან. მთელი სემესტრი დავუთმე შექსპირის დრამატურგიას.[2]

37 პიესა წავიკითხეთ და გავაანალიზეთ. დასწრება მაქსიმალური იყო და აქტივობაც შესაშური. აღორძინების ეპოქის ბრიტანულ თეატრში სხვა საინტერესო დრამატურგებიც გვხვდებიან, მაგრამ მათზეც შექსპირის დრამატურგიის გათვალისწინებით ვისაუბრეთ. განვიხილეთ სათეატრო არქიტექტურა და სამსახიობო ხელოვნება. გარდა ამისა, ლექციებს ინტერაქტივის ხასიათი ჰქონდა. შედეგმაც არ დააყოვნა და 7-მა სტუდენტმა მაქსიმალური შეფასება დაიმსახურა.

ჩვენ ერთად მიზანს მივაღწიეთ.

1. სტუდენტებმა ფუნდამენტურად შეისწავლეს და გაიგეს ელიზაბეთური ეპოქის ინგლისური თეატრი, მიხვდნენ და გაითავისეს, თუ როგორ იქცევა თეატრალური სანახაობა გენიალური შეტყობინებების გამტარებელად და გადამცემად.

2. საკუთარ გონებაში შექმნეს ეგრეთ წოდებული „დროის ფოლდერი", იგულისხმება, რომ მათ გაიფართოვეს ცოდნა დრამატურგიასა და სათეატრო ხელოვნებაში, მოახერხეს „ფაილების დალაგება" - სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე პროცესების თავმოყრა და ერთმანეთთან დაკავშირება.

3. შექსპირის პიესების გაგებისათვის სხვადასხვა ხერხს მივმართავდით. დავალება მდგომარეობდა შემდეგში - ერთი პიესის მაგალითზე (არჩევაში სტუდენტები თავისუფლები არიან) უნდა განაზოგადონ შექსპირის მიერ დასმული ზოგადსაკაცობრიო პოსტულატები. ასევე აიღონ პიესა და დაფიქრდნენ დრამატურგის მიერ შეთავაზებულ სიმბოლოებზე, დააკავშირონ ელიზაბეთური ეპოქის თეატრი შუასაუკუნეების თეატრთან, ჩაატარონ ექსპერიმენტი XVII საუკუნის თეატრალურ ინოვაციებზე, შექმნან საკუთარი სურათი იმდროინდელი წარმოდგენებისა.

მსგავსი ინტერაქტივი წახალისებას და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტუდენტებში, ისინი უფრო მოტივირებულები არიან და დროსაც სწორად ანაწილებენ.

და ბოლოს, 90-წუთიანი ლექციები მოიცავენ: კითხვას, დისკუსიას, გამოკითხვას, როგორც ზეპირს ასევე ტესტირებულს და ასევე ესეის დაწერას. პედაგოგებს კი შეუძლიათ მასალის მოდიფიცირება და კონკრეტულ აუდიტორიაზე მორგება[3].

სასწავლო კურსის მიზანი: ხელოვნების განსხვავებული დარგების კომპლექსური ზემოქმედების ძალით გავამდიდროთ სტუდენტების ესთეტიკური მსოფლაღქმა და ცხოვრებისეული გამოცდილება;

2 A Guide to Thesis Writing...

3 Lehi Drama

ვასწავლოთ საკუთარი შეხედულებების და შეფასებების გამომუშავება, ასევე მივცეთ მიმართულება ესთეტიკური კატეგორიების გასაგებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Theatre History for Advanced Theatre by Mindy Nelsen - http://tedb.byu.edu/?courses=theatre-history-for-advanced-theatre-by-mindy-nelsen, (15.06.2021)
- A Guide to Thesis Writing That Is a Guide to Life- http://www.newyorker.com/books/page-turner/a-guide-to-thesis-writing-that-is-a-guide-to-life?mbid=social_facebook (15.06.2021)
- Lehi Drama - https://sites.google.com/site/lehidrama/ (15.06.2021)

APPROACHES TO TEACHING WORLD THEATER: CONSIDERING MODERNITY

Marika Mamatsashvili

Our modern era is marked by unexpectedness and abrupt technological progress. Due to this accelerated pace, we are confronted by a strikingly different reality. The deepening of generational gap is further aggravated by an inefficient school system. Consequently, we face many obstacles in teaching the history of theater.

Teaching the history of theater according to existing periodization is dated. Teaching methods must be revised. I have repeatedly encountered resistance from freshmen failing to grasp and examine the theater of antiquity and instead demand I speak to them about modern theater.

Theater itself continuously revitalizes its forms of expression and manages to do so based on accumulated knowledge and experience. Therefore, I believe we must take into account the readiness of the class majority to comprehend the issues at hand and to construct course lectures and seminars accordingly. It is not obligatory to begin our studies from the period of antiquity.

We could start with Shakespeare, or Molière, whose works are more intelligible to the modern generation and more familiar to the mindset of contemporary youth. They laugh when we speak about the necessary intervention of destiny, and how could they fully understand Antigone's decision when they do not know what the "choice" is, how it affects circumstances and namely the individual!

Through participation in various events, quizzes and debates, our goal is to allow students to demonstrate their knowledge in the history of theater and to develop the skills required for analyzing dramaturgy, understanding subtexts, critical thinking, and applying their knowledge to the contexts of modernity.

To that end, it is necessary to boost student engagement in class. One of the tried methods to pique student interest is to screen films about theater and discuss how the director perceived certain facts and the discrepancies between fact and perception.

The list of such films is long, and we could allot the final hour of a three-hour lecture to film screenings.

Theo Angelopoulos' 1975 film, *The Travelling Players*, take us on a 4-hour journey through history. The theatrical troupe traverses a country that is at one point embroiled in a civil war, at another under military dictatorship, and at yet another point in time is occupied by fascists. Against the backdrop of historical events, the personal story of the travelling heroes unfolds, of heroes who take their names from the ancient *Oresteia* and even repeat their namesakes' fates, for example: Agamemnon becomes a partisan and fights against Italian fascism, Orestes is a communist, and so on. The film allows students to deepen their imaginative skills and encourages multifaceted thinking. Most importantly, it gives students an opportunity to see the play *Oresteia* through the prism of modernity.

In teaching the history of medieval theater, we cannot bypass 20th-century mastermind film and theater director Ingmar Bergman's 1957 film, *The Seventh Seal*, which depicts the life of a wandering troupe and its plot is a parable of medieval times.

Interest in the smart and quick-witted comedies by Lope de Vega can be stimulated by the 2010 film *Lope de Vega: Libertine and Tempter*.

When speaking about the most prominent comedic playwright of the 17th century, Molière Laurent Tirard's 2007 film *Molière* will help students see his work from a different perspective.

Gerard Corbiau's 2000 film *The King is Dancing* also offers interesting insights into understanding French classicism and the later Baroque period in theater.

The 2004 film *Stage Beauty*, directed by Richard Eyre, tells the story of British theater during the era in which women's roles were played by men, and also teaches

us about the reforms that impacted theater under King Charles II's Restoration.

As mentioned above, the list of such films is quite long, and any lecturer can find a film suitable for illuminating any given epoch or playwright.

Instructors have the opportunity to change course syllabi by taking into consideration the interests of their students. Here, I would like to give you an example of how I treated drama directing sophomores: I spent the entire semester on Shakespeare. We read and analyzed 37 plays. There was full attendance and the rate of class participation was enviable. While there are other interesting playwrights in English Renaissance theatre, we discussed them within the scope of Shakespeare's plays, discussing theatrical architecture and performing arts. In addition, the lectures were all interactive. The results did not disappoint and 7 students received maximum marks.

Together, we achieved our goal.

1. Students fundamentally studied and understood Elizabethan-era English theater, they grasped and realized how theatrical performances can be channels and heralds for the transmission of brilliant messages.

2. They created a so-called Time Folder in their minds, meaning they expanded their knowledge in dramaturgy and theatrical arts and managed to "sort their files" by consolidating and making connections between various processes associated with different eras.

3. We used diverse means to understand Shakespeare's plays. The students' task was to generalize the universal postulates posed by Shakespeare based on the example of one of his plays (students were free in their choice), and critically examine the symbolic decisions of the playwright, identify connections between Elizabethan-era and medieval theater, conduct an experiment regarding the theatrical innovations of the 17th century, create their own representation of performances of that period.

Such interaction encourages and arouses interest in students, and as a result are more motivated and manage their time in a more efficient manner.

And finally, the 90-minute lectures include: reading, discussion, inquiry, both oral and test-based and essay writing. Instructors can modify the material and adapt it to a specific audience.

Course Objectives: Enrich the students' aesthetic worldview and life experience with the complex impact of different fields of art; teach them to develop their own views and assessments; give direction for understanding aesthetic categories.

REFERENCES

- Theatre History for Advanced Theatre by Mindy Nelsen - http://tedb.byu.edu/?courses=theatre-history-for-advanced-theatre-by-mindy-nelsen, (15.06.2021)
- A Guide to Thesis Writing That Is a Guide to Life- http://www.newyorker.com/books/page-turner/a-guide-to-thesis-writing-that-is-a-guide-to-life?mbid=social_facebook (15.06.2021)
- Lehi Drama - https://sites.google.com/site/lehidrama/ (15.06.2021)